

ქალაქ ქუთაისში, იოსელიანის ქუჩა N26 საცხოვრებელი სახლის
N7 ბინაზე, მოქალაქე ეთერი გვანცელაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა იოსელიანის ქუჩა N26 საცხოვრებელი სახლის N7 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ეთერი გვანცელაძის წარმომადგენლის ამირან ხურციდის განცხადება /2012 წლის 12.11 Nგ/ხ-9205/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, იოსელიანის ქუჩა N26 საცხოვრებელი სახლის N7 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე ეთერი გვანცელაძის სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღვილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღვილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, იოსელიანის ქუჩა N26 საცხოვრებელი სახლის N7 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ეთერი გვანცელაძეს.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, იოსელიანის ქუჩა N26 საცხოვრებელი სახლის N7 ბინაზე /საერთო ფართობი 19,98 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 19,98 კვ.მ, საერთო სარგებლობის დამხმარე ფართობი 19,38 კვ.მ./ მოქალაქე ეთერი გვანცელაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რაგვიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

ბ.ბრეგაძე